

K36-060
2




Հրաչյա Խոբոս

საქართველო

ქვემო

კ. 36.060
2

ქვემო



"საქართველო"

თბილისი, 1968.

8099.962.5
C1A6x) 2
8941.611.3-32
№ 342

7-3-3

ალექსი კამუგის ძე ჯენია დაიბადა 1930
წ. სოფელ აჭანდარაში (გუდაუთის რაი-
ონი.). 1955 წელს დაამთავრა თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ა. ჯენიას პირველი მოთხრობა დაიბეჭდა
1949 წ. 1959 წ. გამოვიდა მისი მოთხრო-
ბების პირველი კრებული — „ჩემი მთიანი
სოფელი“, 1964 წელს — მეორე წიგნი
„მწვანე ქალაქი“, ხოლო 1967 წელს —
„ნუ გათელავთ ყვავილებს“.

ა. ჯენია მუშაობს ჟურნალ „ალაშარას“
პასუხისმგებელ მდივნად.

5529.

1662

-42

სადა ხარ, შვილო!

უ უაღამე იყო. გუშინ სა-
ღამოს დაიწყო თოვა...
თეთრი ფანტელები

ფარფატიტ ეცემოდნენ მიწაზე და არემარეს თეთრ საბურ-
ველში ახვევდნენ.

სოფელი ლაპშისი ღრმა, უშფოთველ ძილს მისცემოდა. დროდადრო სიმშვიდეს გემის გაბმული გუგუნის თუ არ-
ღვევდა. გაძარცულ ხეებს შორის აქა-იქ შავად მოჩანდა თეთრფაფახიანი დაბალი ქოხები.

გზის მოშორებით გრიშას ლამაზი კარ-მიდამო გადა-
შლილიყო. საკვამურიდან ბოლი ხრჩოლავდა. გრიშას ცოლი — მარიცა — ლოგინში იწვა. ბუხარში ცეცხლი გიზ-
გიზებდა და მისი ათინათები ქალის დაჟღავნა წითელ ლო-
ყებს დასთამაშებდა.

სახლის გვერდით ძველი დანგრეული ქოხი იდგა. ოდესღაც გრიშას ბაბუას აეშენებინა თავისი ვაჟიშვილი-
სათვის. რამდენი უბედურების მომსწრე იყო ეს ქოხი!

„ბიჭია, ბიჭი!“ — ხუთჯერ დაულოცავთ ამ ქოხში ბავშვის გაჩენა, ხუთჯერ დაუგრიანებიათ თოფი ბედნიერების მათუწყებლად, მაგრამ ამ ბედნიერებას ხუთივეჯერ ქალის გულშემზარავი კივილი მოჰყოლია. ცხარე ცრემლით დასტიროდა გამწარებული დედა ახალდაბადებულთა უსულო სხეულს.

— ადგილი გამოიცვალეთ, ხედავთ, ფუძის ანგელოზი არ გწყალობთ, — ურჩევდნენ მოკეთეები, მაგრამ გრიშას მამა, ლატაკი შმატი, ისე შეესისხლხორცა აქაურობას, ვერც წარმოედგინა აქედან წასვლა. დედას, მადინასაც არ უნდოდა იმ მიწის მიტოვება, სადაც მისი შვილები იყო დამარხული. ერთი კვირისაც არ იყო გრიშა, რომ მამა გარდაეცვალა. ქმრის სიკვდილის შემდეგ მადინა ვაჟიშვილთან ერთად სამუდამოდ დარჩა ამ ქოხში. ახლა კი ეს პატარა დაბრეცილი ქოხი, თითქოს დარდისაგან გულმოკლული, დასტიროდა იმათ, ვისი სიკვდილის მომსწრეც თვითონ იყო.

ციცხლი კარგა ხანია ჩაქრა, ახლა კი ქრებოდა სიცოცხლე იმ ქალისა, ვინც პირველად ააგიზგიზა ციციხლი ამ ქოხში.

— ო, შვილო, ჩემო საყვარელო შვილო, დედა გენაცვალოს, წყალი მომაწოდე, ლამის მოკლას წყურვილმა შენი საცოდავი მოხუცი დედა, — გაისმის სიბნელეში მომაკვდავი მადინას მისუსტებული ხმა...

— პატივცემულო თამადა, ყანწები მოგვაწოდეთ, თორემ ლამის წყურვილით დავიხრჩოთ, — როხროხებს გრი-

შა. მკერდი ყოჩივით გამოუხნექია, რა ხანია ამ მდიდრულ სუფრას უზის!.. ნამდვილი ქეიფიც ამას ჰქვია, მისმა მეზობელმა მახაზმა პირველად გადმოიპატიჟა თავისი სიძე და საგანგებო ნადიმზე სოფლელებიც მოიწვია. რა გინდა, სულო და გულო, აქ არ ყოფილიყო. გარეთ კი ბარდნიდა და ბარდნიდა. თავისიანებზე არასოდეს ფიქრობდა გრიშა. გული მუდამ არხეინად ჰქონდა...

— კიდევ კარგი, ჩემთან ხარ, შვილო. თბილი ლოგინი დაგატოვებინე. მოგიკედეს დედა. აი, ჭიქა და დოქი კარადასთან დგას, მიაწოდე საბრალო მოხუცს წყალი.

— შენი ჭირი შემეყაროს, რა სულზე მომისწარი! აბა ჭიქები ჩადგით! — დასჭექა გრიშამ და მერიქიფეს ჭიქები ჩამოართვა.

სახე თანდათან ეფოთლებოდა, მის აბდაუბდა სადღეგრძელოებს ბოლო არ უჩანდა. დედამისს კი ძალა ელეოდა, ხმა უწყდებოდა, სააქაოს აღარ იყო...

— შვილო, მეშინია, სირცხვილი არ გაჭამო, ცოტა ხანს მაინც იყავი ჩემთან, დედა შემოგეველოს, — მადინას გონი ეკარგებოდა, ბოდავდა.

— ტყუილა როდი ვლაპარაკობთ, პატივცემულო თამადა, კარგია თუ ცუდი, ჩვენც გვათქმევიანეთ სადღეგრძელო. სმენა იყოს და გაგონება! — ამ ყრიამულში გაისმის გრიშას მჭახე ხმა, მაგრამ როგორც გაზაფხულის ადიდებულ მდინარეს ვერ შეაჩერებ, ისე ვერ დაფარავ შეზარხოშებული მოქეიფეების ყრიამულს.

— თემურ, შენი ჭირიმე, შმატ, მახაზ... ყური მიგდეთ, რა გემართებათ? დამალევინეთ ეს ღვინო, — იჭაჭება გრიშა. ისმის ჭიქების ჭახაჭუხი, სადღეგრძელოები, მხიარული შედახილები, სიმღერები. მაშ, როგორ? მახაზს დიდი სიხარული აქვს დღეს და გრიშაც მისი ბედნიერების მონაწილეა.

— გცივა, შვილო? როგორ დაგტანჯე, წყალი, წყალი მწყურია... ჭიქა აქვე, სასთუმალთან მიდგას. ღოქი კარადის უკანაა. მოხვედი, შვილო, რა კარგია, დროზე მომისწარი...

გრიშამ ჭიქები გამოსცალა, მაგრამ ღვინო ყელში მოაწვა და გაჩერდა. გული ერეოდა. ცხვირ-პირზე მჭადის ნატეხი მიიჭირა. სკამზე დაეშვა. ენა წაერთვა, თვალწინ ყველაფერი აერ-დაერია.

— შვილო, ნულარ წახვალ... ვაიმე, არ დაეცე, — წამოიძახა მადინამ და სიკვდილის ციებ-ციხელებამ აიტანა, მთელი ტანი დაეჭიმა.

გრიშამ ტყვიასავით დამძიმებული თავი ხელებს დააყრდნო.

— ძლივს არ გვეღირსა? ახლა კი მშვიდად ვიქეითებთ, — შვებით ამოისუნთქეს გრიშას თანამეინახეებმა.

— ჯანდაბა მაგას, როგორ ღრიალებდა, კაცო, ყურში აღარაფერი მესმის, — დაუმატა ერთმა, გრიშას გვერდით რომ იჯდა.

„ეს ბებერი რომ არა, როგორც მომეხასიათებოდა, ისე ვიცხოვრებდი, ნეტა ცას ხომ არ უნდა გამოეკრას“, — ფიქრობდა მარიცა და ბუხარში ჩაბუყუტულ ნაღვერდალს მისჩერებოდა. შუალამეს გადაცილებული იყო.

„კიდევ კარგი, ფეხზე დგომა მაინც შეუძლია, რა მეშველება, ლოგინად რომ ჩავარდეს, ხომ ვერ მოვკლავ, არადა, ელოდე, როდის ამოუვა სული. ღმერთმა ნუ მომასწროს მაგის ლოგინად ჩავარდნა, ისევ ჩემი მოსაველეელი გახდება“, — ამ ფიქრში მარიცას ღრმად ჩაეძინა.

აღიონი იყო, როცა სოფელში ქალის კვილი გაისმა.
— რა მოხდა, ვინ კვიის?

— დიდუუ, ვინაა ნეტავ ის უბედური? — ქალები გარეთ გავარდნენ. თოვლის სიმძიმით თავგაქინდრული ტოტები ირხეოდნენ, თოვლს იბერტყავდნენ, თითქოს ამბის შეტყობა უნდათო.

ხალხი იქით მირბოდა, საიდანაც კვილი მოისმოდა. გრიშასაც გაეღვიძა და ბარბაც-ბარბაცით მიჰყვა დანარჩენებს.

— ეჰ, საცოდავი მადინა, — თქვა ახალგაზრდა ვაჟმა, რომელმაც პირველმა მიირბინა გრიშას სახლთან და გაქვევებულებით შედგა. მარიცა კვილ-კვილით გარბოდა და გამორბოდა. ვაჟმა ქუდი მოიგლიჯა, თოვლზე დაახეთქა და გულში მჯილი დაირტყა.

გრიშას უზარმაზარი ეზო მოთქმით და გოდებით აივსო, გრიშა ბოხი ხმით მოთქვამდა, ცრემლი დაჰაღუპით ჩამოსდიოდა. მაგრამ რა, უბედურ მადინას აღარ დაუნახავს, როგორ დასტიროდა შვილი. მთელი სიცოცხლე გაჭირვებაში გაატარა, რამდენი იწვალა და იჯახირა, ახლა კი სა-

ცოდავად იწვა გამხმარი, გალეული. დაღარულ სახეზე თითქოს იმის სურვილი აღბეჭდოდა, შვილისთვის ერთხელ კიდევ ეთქვა ტყბილი სიტყვა.

გრიშა მკერდში მჯიღს იცემდა და მოთქვამდა: „დედა, ჩემო საბრალო დედა, კარგი არაფერი გინახავს სიცოცხლეში“. გრიშას ამშვიდებდნენ, მაგრამ საბრალო დედას აღარაფერი ესმოდა. სხვა სიტყვებს იყო ჩვეული შვილისაგან: „... ნეტავ შენი ლანდი არ დამანახა ამ სახლში... თავი მოგვაბეზრე... რაც შენი საქმე არ არის, ნუ ეჩრები!..“ ახლა კი მაღინას აღარაფერი ესმის, არც ავი და არც კარგი. მიცვალებული იქვე აგურის სახლში გადაასვენეს. ეს სახლი გრიშამ თავისი ხელით ააშენა და საწყალ მაღინას ერთი ღამეც არ გაუთევია იქ. ახლა კი რკინის საუკეთესო საწოლზე დაასვენეს, ზემოდან აბრეშუმის ქსოვილი გადააფარეს. გულხელდაკრეფილი, თმაგაშლილი და სახეჩამოკაწრული მარცა მიცვალებულს თავთან დაუჯდა.

მესამე დღეს, დილით, კვლავ შეიკრიბნენ მეზობლები, გრიშასთან ბიძა ხაბიჯი და მიკუ იასიფიც მივიდნენ. იასიფი მთელი სოფლის თავკაცი იყო.

— შვილო გრიშა, — დაიწყო იასიფმა და ყავარჯენი ხელში შეათამაშა, — ღმერთმა აცხონოს დედაშენი, დიდი ღვთისნიერი ქალი იყო, მაგრამ, რას იზამ, ყველა სიკვდილის შვილები ვართ, მარტო შენ ხომ არა ხარ ამ დღეში. პურმარილიანი ქალი იყო, ცხონებული. თუ რამეა იმქნეყნად, ღმერთსა ვთხოვ, ყველა ერთად შეგეყაროს, — იასიფმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და უღვაშზე ჩამოდენილი ცრემლი მოიწმინდა.

ხაბიჯმაც ვერ შეიკავა თავი, ყაბალახი ძირს დააგდო, მკერდზე მუშტი დაირტყა და აქვითინდა.

— დედა, დედა-ა, — გაისმოდა ღია აივნებიდან მარიცას თვალთმაქცური მოთქმა.

გრიშა კი გაქვავებულივით იდგა, ცდილობდა, დამწუხრებული სახე მიეღო.

— დიდი ქელები გადაგიწყვეტია, — განაგრძო იასიფმა, — მის მოსვლამდე არაფერი გეტყინა. მეზობლებმაც, — მაგათ მიეცათ დიდი დღე, — ყველაფერი საუკეთესოდ მოგიწყვეს. პური, ლობიო, ღვინო მოგიტანეს.

— ღირსი არ არის საწყალი დედა? — მიუახლოვდა მათ მარიცა და ცრემლი შავი ცხვირსახოციით მოიწმინდა.

— ნუ ტირი, შვილო, სანამ ცოცხალი იყო, ზრუნვა არ დაგიკლია, — ჩაილაპარაკა იასიფმა და ეშმაკურად გაიხედა გვერდზე.

— ჰო, იმას ვამბობდი, ყველაფერი მზადაა, მაგრამ კუბოს რა ვუყოთ, ჩვენ თვითონ გავაკეთოთ, თუ...

— ჩვენი გამოჩორკნილი კუბო დედას არ ეკადრება. სამაგისო რა გავგჭირვებია, ქალაქი აგერ ცხვირწინაა, — ჩაერია საუბარში მარიცა, — ახლავე გავგზავნი კაცს კუბოს შესაკვეთად, — თქვა და ოთახში შევიდა. ცოლის ასეთმა მზრუნველობამ გული აუჩვილა გრიშას. ტანში რაღაცამ თბილად დაურბინა და თვალეები ცრემლით აევსო. იასიფს მეტი აღარაფერი უთქვამს, სხვებთან ერთად ისიც ეზოში ჩავიდა.

— სათბეი, ერთი წუთით აქეთ მოდი, — გასძახა მარიცამ ახალგაზრდას, რომელსაც დაკონკილი ნაბადი წამოსხსა. ახალგაზრდა ზღაზვნით მიუახლოვდა.

— აქა ვარ, მარიცა, — ძლივს ამოღერღა მან.

— სათბეი, თუ კაცი ხარ, ქალაქში გამეგზავნე კუბოს-თვის, — სთხოვა მარიცამ და ჯიბეში დაჭმუჭენილი ფული ჩაუღო.

ეს დილით იყო, ახლა უკვე საღამო უამმა მოაწია, სათბეი კი არა და არ ჩანდა.

— ის ბოთე სირცხვილს გვაჭმევს, — აწრიალდა ხაბი-ჯი.

— ტყუილად როდი ამბობენ, გიჟი დასაქმე და უკან მიჰყევით, ჩვენც ვნახეთ რა, საქმის კაცი! — ამბობდა ბრაზ-მორეული იასიფი და გზას თვალს არ აცილებდა.

— ასე როგორ იქნება, ერთი-ორი ჭიქით მიცვალებულის სულის მოსახსენებელი თუ არ მიირთვით, — გრიშას მეზობლები ჭიშკრიდან ძალით აბრუნებდნენ უპურმარილოდ წასულ ხალხს და დიდი ხვეწნით სუფრასთან მიჰყავდათ. ეზოს მთელ სიგრძეზე გაეშალათ სეფა.

— მადლობა ღმერთს, მოვიდა სათბეი, — შვებით წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— აბა ბიჭებო, მიეხმარეთ, — თადარიგი დაიჭირა იასიფმა. რამდენიმე ყმაწვილი სათბეისაკენ გაქანდა. — ამ ვირს თავისი ზურგით არ მოუთრევია კუბო? — გაკვირვებით თქვა იასიფმა და ნაბიჯს აუჩქარა.

— მომიცადეთ, — სათბეი ბიჭებს დაედგნა, — ჩემს ნაბადს რაღას მემართლებით, მომეცით, — თქვა მან, კუბოს თავი ახადა, ნაბადი ამოიღო და ტანზე მოისხა. ამ ამბის შემყურებმა ერთმანეთს გადახედეს. ყველას ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— თავი მოგვეჭრა და ეგაა! — რატომ მე არ ვწევარ

ახლა შენ მაგიერ, უბედურო მადინა! რა უიღბლო ყოფილ-
ხარ, — თქვა ეზოში გამოსულმა საშინლად გაბრაზებულმა
ხანჯუა და იქვე შეჯგუფულ ხალხს მიუახლოვდა.

— რა მოხდა, ხაბიჯ, რა ამბავია? — შემოეხვივნენ მას.

— რადა, კუბო პატარა გამოდგა. მეორე სიკვდილი ეგაა
სწორედ. იმ დოცლაპია სათბეიმ მთელ ჩვენს საგვარეულოს
სირცხვილი აჭამა.

— დოცლაპია შენ ხარ, ხაბიჯ, რასაც გასწვდა თქვენი
მოცემული ფული, კუბოც იმისი ვიყიდე, — ზანტად მიუ-
ახლოვდა მას სათბეი.

— გაიგე, ქალო?

— ნულარ იტყვი, რა თავის მოჭრაა!

ატუტუნდნენ ქალები, ელვის სისწრაფით მოედო მთელ
სოფელს სამარცხვინო ამბავი.

„სიცოცხლეში იყო და მოკუნტული ვიწვექი, საბანი არ
მწვდებოდა, მოვკვდი და ხეირიანი კუბოც არ მეღირსა,“ —
თითქოს საყვედურობდა შვილს საბრალო მადინა.

მთვარიან ღამეს

ღ

რ ხავსმოდებულ ცი-
ბო კლდეს შორის დე-
დიშობილა ჰაჯიმი მია-

ბიჯებდა. ხეობიდან გრილი ნიავი ქროდა და საამოდ უღი-
ტინებდა შიშველ სხეულზე.

აქა-იქ კლდიდან აქაფებული ღვინის ნაკადულები მო-
ჩუხჩუხებდა. ნამდვილი ღვინო იყო — აკაჩიჩი. ეჰ, უფა-
ლო, როგორი ძუნწი ხარ! რამდენ ზღაპრულ საოცრებას
უმაღავ ადამიანს! ღვინო და რა ღვინო! ან როგორ მოჩუხ-
ჩუხებს კლდიდან...

ნაპრალიდან ამხანაგის ხმა მოესმა: „კაცო, ჭიქები,
ტიკები, კასრები — ყველაფერი აქეთ წამოიღე, რაღას
უდგახარ! ღმერთო ჩემო!“

დროდადრო თითქოს ლიბრი ეკვროდა, თვალეები ებინ-
დებოდა ჰაჯიმს. მერე კი ბურუსი იფანტებოდა და თავის
მეგობარს, ლაგუსტანს ხედავდა, პირდაფჩენილი რომ იდგა
ღვინის ნაკადთან. ისიც სულ მთლად შიშველი იყო. კაცმა

რომ თქვას, ტანსაცმელი რა ჭირად უნდათ. თუ სამოთხეა, სამოთხე იყოს. ეჰ, რას არ ნახავ კაცი ამ ქვეყანაზე. სოფელში ერთ ყლუბ ღვინოს ვერ იშოვი პირის გასასველებლად, აქ კი, ღმერთო, ნუ გადამრევ, ღვინის ზღვაა.

მსხვერპლზე თავდასასხმელად გამზადებული ლომივით ეცა ჰაჯიმი კლდეს, რაც შეეძლო პირი დააფრინა და ამ საუცხოო ჩანჩქერს შეუშვირა. ხარბად დაეწაფა, ტანზე გადასდის ნუნუა, მაგრამ მაინც წყურვილი ახრჩობს, ხესავით გახეხეშებულ ენას ძლივს ატრიალებს პირში, ყველაზე მეტად ის უკლავს გულს, რომ ღვინო არა და არ ეკიდება....

— ჰაჯიმ, გესმის, ჰაჯიმ! — ლაგუსტანი მეგობარს მიუჩოჩდა. ჰაჯიმი იქვე გვერდით იწვა და მკვდარივით ეძინა. ისე ხვრინავდა, გეგონებოდათ, სქელი ფაფა ბუყბუყებს. მსხვილი უღვაში ყოველ ამოსუნთქვაზე მოცეკვავების თანაბრად აქეთ-იქით ერხეოდა. ლაგუსტანმა ჰაჯიმს მუჯღუგუნი წაჰკრა:

— ჰაჯიმ, გესმის, ჰაჯიმ, გაიღვიძე!

მაგრამ ჰაჯიმს ძილქუში დასცემოდა. უკმაყოფილოდ რაღაც ჩაიბურტყუნა და გვერდზე გადაბრუნდა.

— ადექი, შე კაცო, არ გესმის? ფუძის ანგელოზმა ხომ არ დაგცადა? ამაზე დიდი უბედურება გინახავთ? თავის წადებას ვერ მოასწრებს და ხვრინვას ამოუშვებს. — ლაგუსტანმა ხელი წაავლო მძინარეს უღვაშზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოჰქაჩა. ახლა კი იკადრა ჰაჯიმმა და ტახტზე წამოჯდა.

— თუ ღმერთი გწამს, არ დამლუბო და თოფს არ სტაცო ხელი, — დასცინა ლაგუსტანმა მეგობარს.

— ღმერთმა შენც დაგწყევლოს და შენი თოფიც, უპ,
რა სიზმარში ვიყავი, რომ იცოდე, — ჯიჯღინებდა ჰაჯიმი.

— სიზმარი, თორემ მე შენ გეტყვი, პირველად ნახე.
შე დალოცვილო, სულ სიზმარში არა ხარ?

— მეხიცი დაგცემია! მაინც რა სიზმარი იყო, — არ ის-
ვენებდა ჰაჯიმი.

— სიზმარს რა თავში ვიხლი, თუ ცხადში გინდა რამე,
ადე, გაინძერი, — თქვა ლაგუსტანმა და ფეხსაცმლის ჩა-
ცმას შეუდგა.

— ამდენი ღვინო რომ მესიზმრა, ცუდი არ უნდა იყოს,
ხომ იცი, მაგრამ ეს აღარ მომწონს, შიშვლები რომ ვიყა-
ვით, — განაგრძო ჰაჯიმმა.

ცოტა ხანიც და, ჩუმად გაიღო ლაგუსტანის ფიცრული
სახლის კარი, მეგობრები ფრთხილად გამოვიდნენ და
მთვარით განათებულ თხილნარს შეერივნენ. შუალამე იყო.
სოფელს ღრმად ეძინა. რატომღაც ძაღლებიც გატრუნუ-
ლიყვნენ. იქნებ იმიტომ, რომ ახლა გლეხებს დიდად აღარ
სჭირდებოდათ მათი სიფხიზლე, ან თავად ძაღლები გაზარ-
მაცდნენ, ვინ იცის.

— ლაგუსტან, — აჩურჩულდა ჰაჯიმი, — რალაც არ
მომწონს, მთვარე რომ ასე ანათებს.

— შენც ადექი და რამე ჩამოაფარე, — ჩურჩულითვე
უპასუხა ლაგუსტანმა.

ულრუბლო, მოკრიალებულ ცაზე დიდებული მთვარე
დაცურავდა. თითქოს დაიღალაო, ნელა და ზანტად მოე-
დინებოდა მდინარე ლაპსა. ამ სიჩუმეში ქურდულად მი-
იპარებოდნენ ჰაჯიმი და ლაგუსტანი. მათ გამოჩენაზე
მწვანე ფოთლებში შეყუყული ჩიტები ინაბებოდნენ.

— ფეხზე უნდა გავიხადოთ? — იკითხა ჰაჯიმმა, როცა მდინარესთან მივიდნენ.

— არა, შენმა მშემ, ზურგზე შევიგვამ,—უპასუხა ლაგუსტანმა.

— მეხიც დაგცემია! ენა გავიხმება, ერთხელ რომ კარგი სიტყვა ამოუშვა მაგ პირიდან? — გაწიწმატდა ჰაჯიმი.

— კარგი სიტყვაო? გეგონება, ძალიან მსიამოვნებს შენთან ყოფნა. ესეც იტყვის რა!

„ეჰ, საცოდავო ჩემო თავო“, — გაიფიქრა ჰაჯიმმა და სიზმარი გაახსენდა.


— აბა, მორჩი ახლა! — ლაგუსტანმა საჩქაროდ გაიძრო ფეხსაცმელი. ჰაჯიმი იქვე დიდ თეთრ ქვაზე ჩამოჯდა და ზანტად შეუდგა ფეხსაცმლის ზონარის გახსნას.

— შენ დაგაშრო მამაზეციერმა! ზამთარ-ზაფხულ რომ ყინულივით ცივი ხარ! — ჩაჰყო თუ არა ფეხი წყალში, წამოიძახა ჰაჯიმმა და კუსავით წაიგრძელა კისერი.

სპილოსავით ზორზოხა ლაგუსტანმა კი წყლის სიცივე ვერც იგრძნო, ისე გავიდა მეორე ნაპირას.

მთვარე ჯიუტად მიიწევდა შუა ზეცისაკენ და გარემოს ნათელს ჰფენდა. მეგობრებმა გზიდან გადაუხვიეს და ახლა ბოსტან-ბოსტან უახლოვდებოდნენ აჯი გიდის კარმიდამოს.

გიდი მთის ძირას, ზედ მდინარის პირას, თუნუქისნახურავიან ოდა-სახლში ცხოვრობდა. ხალხში ათასნაირი ხმა დადიოდა, ზოგი ამბობდა, გიდი წუწურაქი კაციაო, ზოგი, პირიქით, პურ-მარილს უქებდა. გიდის ამაღამინდელი სტუმრები კი ბევრჯერ წამოსულან მისგან პირში ჩაღაგამოვლებულები.



ლაგუსტანი და ჰაჯიმი მესერზე გადაბობდნენ და ბა-
ლის ჩაბნელებულ კუთხეს შეეფარნენ. ერთ ხანს სუნთქვა-
შეკრულნი აცეცებდნენ თვალებს აქეთ-იქით. მერე კი ლა-
მის სიჩუმეში გარინდული ხეების ჩრდილქვეშ გზა განა-
გრძეს. მდინარიდან ნიაგმა დაჰბერა, თავისი გრილი ხელი
ლაგუსტანს უზარმაზარ ბეჭებზე მოუცაცუნა, მერე ჩამო-
მხმარ ჰაჯიმს უღვაშზე მოუღიტინა და გიდის სახლისკენ
გაიპარა, თითქოს მასპინძელს სტუმრების მოსვლა უნდა
ახაროსო. მაგრამ ნიაგი რას გააღვიძებდა გიდს. მასპინძ-
ლის ძაღლსაც, მურიასაც, ხმა არ ამოუღია, სახლის გვერ-
დით საჯინიბოსთან მიგდებულებო და ღრმად ეძინა.

აქაოდა, გული საგულეს გვაქვსო, მეგობრები ფეხაკრე-
ფით გაემართნენ შუაგულ ბაღისკენ. სწორედ აქ ჰქონდა
გიდს მარანი. პირველსავე ქვევრს მოხადეს თავი.

— ტიკი აქეთ მოიტა, აი, მესმის ღვინო! — ჩუმად ჩაი-
ლაპარაკა ჰაჯიმმა და ტუჩები მოილოკა. უკვე მოესწრო
ორშიმთი ღვინის ამოღება.

— ჭაშნიკს ხომ არ უსინჯავ? იქნებ არ მოგეწონოს,
ა? — ჩაიბურტყუნა ლაგუსტანმა, გულზე იყო გამსკდარი,
ჰაჯიმმა როგორ მომასწრო ღვინის დაღვევაო.

სანამ ტიკებს აავსებდნენ, გიდის დაუპატიჟებელმა
სტუმრებმა ხუთ-ხუთი ორშიმო გამოსცაღეს. მერე ტიკები
პირთამდე აავსეს, თავი მაგრად მოუკრეს და გვერდით გა-
დასდეს.

— ჰა, დალიე, გული გადააყოლე. სადღა ეღირსები
ასეთ ბედნიერებას, — კიდევ ერთი ორშიმო გამოსცაღა
ლაგუსტანმა და ჰაჯიმთან გადავიდა ალავერდს.

— ბურ-მარილიც მომშლოდეს, ჩემო ლაგუსტან, თუ ძმასავით არ მიყვარდე... ამაღამვე...

— შე უბედურო, ვიცი! ჩქარა დალიე, სადღეგრძელოები სხვა დროისათვის შევინახოთ, — ჩურჩულით თქვა ლაგუსტანმა. ჰაჯიმმაც აღარ დაახანა და სულმოუთქმელად გადაჰკრა ღვინო, მერე უღვაშზე ჩამოწოწულ ღვინის წვეთებს ენა მოუსვა.

ლაგუსტანი სიმღერის ხასიათზე დადგა. ჩაწითლებული თვალები ეხუჭებოდა, მოტვლეპილი თავი მკერდზე უფარდებოდა. ჰაჯიმს კი ეჩვენებოდა, თითქოს მის დაჩაჩანაკებულ სხეულში გოლიათი ჩასახლდა, ისეთ ღონეზე მოვიდა.

ჰაჯიმი კარგა მაგრად შეზარხოშებულიყო, მაგრამ გული მანც ვერ გაუძღა და ზედიზედ კიდევ ორი ორშიმომ გამოსცალა, გამოსცალა და ზომაზე მეტად გულუხვმა ახლა მეგობარი გაიხსენა.

— ღმერთმა აგაშენოს, ლაგუსტან, — დაიწყო ჰაჯიმმა და წამოდგომა სცადა.

— დაჯექი, თორემ დავიღუპებით, ვინმე დაგვინახავს, — თავმოქონილმა და სხვის ქონებაზე ხელგაშლილმა ლაგუსტანმა ხელი ჩაავლო ჰაჯიმს მხრებში და ძირს დასწია, იქნებ როგორმე დავსვაო.

— მამაჩემის საფლავს გეფიცები, არ დავჯდები, როგორ იქნება, ჩემო ლაგუსტან, შენი ოჯახის სადღეგრძელო დამჯდარმა დავლიო? არაფრით. უნამუსო ხომ არ გგონივარ? — ფეხზე ძლივს იდგა ჰაჯიმი.

— დაეგდე-მეთქი, ღმერთმა არ მოგასვენოს, დაჯექი, თორემ თავი მოგვეჭრა და ეგაა, — ლაგუსტანი წამოიწია და ძალით დასვა ჰაჯიმი.

— ეშმაკმა დასწყევლოს, რას ვამბობდი... ჰო. ჩემო მეგობარო, მოდი, ერთი გაკოცო, — გაღეშილმა ჰაჯიმმა საკოცნელად ტუჩები მიუშვირა ლაგუსტანს.

— მეხიც დაგცემია, მაინცადამაინც გინდა, სირცხვილი ვჭამოთ? — ჩაიბურტყუნა გააგებულმა ლაგუსტანმა.

— დამიჯერე, ლაგუსტან, ძალიან მიყვარხარ... მამაჩემ ბაჯგუას შვილი ნუ ცყოფილვარ, თუ შენთვის სული დავი... იკ... შუ... იკ... რო... იკ... — სლოკინი აუტყდა ჰაჯიმს.

ლაგუსტანი წამოხტა და ტიკებს ეცა.

— ე-ე, ეგრე არ იქნება, თუ ღმერთი გწამს, დაჯექი. მამაჩემის საფლავს გეფიცები, სანამ არ დაჯდები, არ დავვლევ, მამაჩემის საფ...იკ...ლავს...იკ...

ლაგუსტანმა ხელი დაავლო ტიკს და ბარბაც-ბარბაცით მესერისკენ წავიდა.

— ღმერთმა აგაშენოს, აჯი გიდ... იკ... შენი სტუმრები... იკ... ვართ... — ჰაჯიმი წამოდგა, მაგრამ მუხლებმა უმტყუნეს და იქვე ბრაგვანი მოადინა.

— ღმერთმა აგაშენოს... იკ... აი, ნახავ, თუ არა... დავლევ... გიდ... იკ... საყვარელო... ღმერთმა შეგარგის... ლაგუსტან! — ჰაჯიმი ღვინოს დაეწაფა. ნახევარი ზედ ჩამოიწუწა, მერე ორშიმო ტუჩებიდან მოიცილა და გვერდით დადო.

— ეი, დედაკაცო, ლოგინი გამიშალე... ხიმპიჩი სადაა?.. ხიმპიჩ, სადა ხარ... ურავიდა რავიდა... ურავიდა... — ის იყო სიმღერა უნდა შემოეძახა ჰაჯიმს, რომ ლაგუსტანი მივარდა, ხელები იღლიაში ამოსდო და მესერისაკენ წაათრია. ჰაჯიმი ფართხალებდა, ხელიდან გასხლტომას ლამობდა, ყვირილი უნდოდა, მაგრამ ლაგუსტანის ხელები რკინის

მარწუხებივით შემოჭდობოდა და გასაქანს არ აძლევდა. როგორც იქნა, ლაგუსტანმა იმ ადგილას მიათრია ჰაჯიმი, სადაც ტიკი ეგულებოდა, მაგრამ იქ აღარაფერი დაუხვდა.

— ეშმაკმა დასწყევლოს, ნეტა სად გაქრა? — წამოიძახა ლაგუსტანმა, ჰაჯიმს ხელი შეუშვა და თვითონ ქანჯალ-ქანჯალით გაჰყვა ღობეს.

ირიყრაქა. აქა-იქ მამლები აყივლდნენ, თითქოს აფრთხილებდნენ გიდის ეზოს შემორჩენილ სტუმრებს, რაღას უდგახართ, დროზე გაასწართო.

— ლაგუსტან, მამა ვაცხონე შენი, ოჰ, დილაც ნუ გამთენებია... იკ...ვი... მისმინე, დედაკაცო, სუ, სიტყვა არავისთან დაგცდეს! — ჰაჯიმმა თითი ტუჩებთან მიიტანა.

— მამაჩემო, სადა ხარ ახლა? ურაიდა, სივო რა... იკ... და... რაი...

— თუ კაცი ხარ, გაჩერდი, ამაღამ ვიმღეროთ. სიმღერა კი არა, ის დროა, ცოლ-შვილმა გვიტიროს, შევრცხვით და ეგაა, — დუდღუნებდა ლაგუსტანი, თან ხელს მიწაზე აფათურებდა, იქნებ ტიკი ვიპოვო.

— დავლიე? მერე რა, ღმერთმა შემარგოს. გიდს ღმერთმა ქვევრში ღვინო ნუ გამოუღიოს, მე კი ვსვამ და ვსვამ, მეტი რა შემრჩება. შენ კი, დედაკაცო, თავიც გაგზმობია, საითაც გინდა, იქით წადი, თუ გინდა, იმ შენ კუჭგამომხნარ მამას დაუბრუნდი... — ჰაჯიმს გული აერია, ტანი დაეკრუნჩხა.

— ოჰ, რა უბედურებაა ჩემს თავს... — ტიკი თავქვეშ ამოიღო და იმწამსვე მშვიდად ჩაეძინა.

გაცრეცილი ზეციდან მოციმციმე ვარსკვლავი იჭყიტებოდა გიდის ეზოში, თითქოს ისიც ამბობდა: „თქვენ მაგიერ მე მრცხვენია, ჰაჯიმ და ლაგუსტან“.

— ჯანდაბას შენი თავი, აქ როგორ გაჩნდი! — ჩიბურტყუნა ლაგუსტანმა, როცა ტიკს წამოედო. ტიკი ზურგზე მოიგდო და შუაგულ ბალისკენ წაბარბაცდა. აქეთ-იქით გაიხედა. იქნებ ჰაჯიმს მოგვრათ თვალი, მაგრამ უცრად თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა, წატორტმანდა. სულ დაავიწყდა, სად დატოვა ამხანაგი და მისი ტიკი. შავ დღეში ჩაგარდა: რა ექნა, არ იცოდა. წასულიყო და ტიკი წაედო, თუ ჰაჯიმი წაეყვანა. არა, აფსუსია ორი ტიკის დატოვება.

— რა ექნა? — გაიძახოდა ლაგუსტანი. ღვინო თანდათან ეკიდებოდა. ფეხზე ძლივს იდგა. უცებ შეამჩნია, აღმოსავლეთი მეწამულისფრად შეღებილიყო. გული შეეკუმშა, თმა ყალყზე დაუდგა.

— ჯანდაბამდე ვზა გქონია, — მიაძახა ჰაჯიმს, ტიკი წამოიკიდა და ლობისკენ წავიდა. ძლივს გადაიტანა ძონძროხა ტანი, ბარდები აქეთ-იქით მისწია და დათვივით გაძუნძულდა.

დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

ბ აზაფხულის პირია. ბუნებამ გაიღვია და ნაირფერად აჭრელდა ვედლები. მზემ დააცხუნა გაყინულ დედამიწას. ლორთქო ყლორტები მწვანე ფოთლებით შემოსა. გამოცოცხლდა გარემო, აყლურტულდნენ ჩიტები. გახარებული ბავშვები ყვირლ-ხვილით მოედგნენ არემარეს.

ხეხილის ბაღში შევედი. ახლად დარგულ ნერგებს საზამთროდ შემოხვეული სათბურები ფრთხილად შემოგხსენი და ხეს ძირი შემოვუჩიჩქნე. სიხარულით შევცქეროდი თეთრად გადაპენტილ ხეებს. ბაღის ბოლოში ჩემი ახლად ფესადგმული გოგონა გუნდა დაბაჯბაჯებდა.

— მამიკო, რატომ თოხნი? — ატიტინდა გუნდა.

— იმიტომ, რომ დიდი ხე გაიზარდოს, — ვუპასუხებ მე.

— რატომ უნდა გაიზარდოს?

— ხე გაიზარდება და დიდ-დიდ ვაშლს მოისხამს.

- მერე? შევჭამთ?
- აბა, აბა, რა!
- მამიკო, მეც ხომ გავიზრდები?
- რა თქმა უნდა!
- რატომ უნდა გავიზარდო? — არ ისვენებდა გუნდა.
- გაიზრდები, ისწავლი და იმუშავებ.
- მამიკო, შენც გაიზრდები?
- მეც, შვილო, — ვუპასუხე და გამეღიმა. გუნდამ გადაიკისკისა, ხელები გაშალა და კისერზე ჩამომეკიდა.

ერთი-ორჯერ დავუნანავე, ბავშვს ჩაეძინა. მთელი დღე კარგა გვარიანად ვიმუშავე, სკამზე ჩამოვჯექი და დაღლილ-დაქანცულს ჩამთვლიმა... უეცრად უზარმაზარი ჩრდილი ჩემს ფეხთან გაწვა. თავი ავწიე, ჩემ წინ მაღალი, მხრებგანიერი კაცი იდგა. მსხვილ წარბებს ქვემოდან ალერსიანად მიყურებდნენ ცისფერი თვალები. გაოგნებული შევცქეროდი უცნობს, სიხარულისაგან თვალები გამიბრწყინდა.

— ხაკი, ძმაო! — წამოვიძახე. როგორც იქნა, ღონე მოვიკრიბე და გადავეხვიე. უცებ გუნდა ხელიდან გამისხლტა და იქვე ბალახებში გაგორდა.

— გადარეულო, ბავშვს არაფერი მოსწო, — ჩამესმა ჩემი ძმის ხმა. დაიხარა, ბავშვი ხელში აიყვანა. მინდოდა რამე მეთქვა, ყელში კი რალაც გამეჩხირა და ხმა ვერ ამოვიღე. თვალები ცრემლმა დამიბინდა, კარგად ვერც შევხედე ჩემს ძმას.

— ძმაო, ხაკი, ძმაო, ცოცხალი ხარ? — ვთქვი, როგორც იქნა, — ცოცხალი ხარ? საიდან გაჩნდი აქ? — ავქვითინდი, ცრემლი ღაბღაღებით ჩამომივიდა.

— ჰო, კარგი, გეყოფა. ბატარა ხომ არა გგონია შენი თავი, გადარეულო? — ჩამესმა ჩემი ძმის ნაცნობი ხმა, მისი სიცილი. ჰო, რა თქმა უნდა, ეს ჩემი ძმაა.

ხელი მომკიდა, ფეხზე წამომავლო, სწორედ ისე, ამ ოცი წლის წინ რომ იცოდა.

— ცრემლი მოიწმინდე, რა გატირებს, კაცი არა ხარ! — მითხრა და გამიცინა.

თვალები ამოვიწმინდე. ახლალა დავინახე, როგორ შეცვლილა, გაჭადრაგებულა, სახეზე ნაჭრილობევი აჩნია.

— შენ უკვე ოჯახს მოეკიდე? — მკითხა და გუნდას თავზე ხელი გადაუსვა. გუნდას კი დამფრთხალი ჩიტივით გული უფართქალებს. ღმერთო ჩემო, ხმა ჩამიწყდა.

— კარგი გიქნია, აქ რომ დასახლებულხარ. მიყვარს ეს ადგილი, — აღელვებულმა ხაკიმ თვალი მიმოავლო იქაურობას. — საოცარია, მიწაც სხვანაირი მეჩვენება თითქოს, — გამომცდელად ამხედ-დამხედა, თითქოს მეკითხება, შინაურებზე რატომ არაფერს მეუბნები.

— ჩვენ ცოცხლები ვართ, კარგად ვართ, — მივუხვდი კითხვას, — შენმა უფროსმა გოგონამ უმაღლესი დაამთავრა, ზინა კი ინსტიტუტში სწავლობს. დანარჩენები ახლა სამუშაოზე არიან, — ავლულლულდი მე.

მინდა ვიყვირო: „ჰეი, ხალხო, სადა ხართ, გესმით, ხაკი დაბრუნდა, ხაკი!“ მაგრამ აბა, ვის გაავიწყდება ჩვენების ნაკვეთი აქედან შორსაა, ტრაქტორის გუგუნიც ძლივს აღწევს ყურამდე.

— კინოთეატრი ავაშენეთ, გზები გავიყვანეთ, — ენას აღარ ვაჩერებ.

— ეჰ, ძმაო, რომ იცოდე, რა საშინელია ომი, — ამოიოხ-

რა ჩემმა ძმამ, თვალები დაენამა. მეტიც არ მინდოდა, ავ-
ზლუქუნდი. ხაკი ნელა გამშორდა.

— საით მიდიხარ, სახლის გზა შეგეშალა! — ვუყვირე,
სული შემეხუთა, შევკრთი და გამეღვიძა.

— მამიკო, ვის ეძახდი? — მკითხა გუნდამ.

— ჩემს ძმას, შვილო!

— სადაა შენი ძმა?

ხმა ვერ ამოვიღე, ყელში რაღაც გამეხირა.

— მამიკო, გაზაფხულზე შენი ძმაც გაიზრდება?

არ მინდოდა ბავშვს ცრემლი შეემჩნია, თავი იქით მი-
ვაბრუნე. ხაკის სურათი, ყოველთვის გულის ჯიბით თან
რომ დამქონდა, ბალახებში ჩამივარდა. ოცი წელი გავიდა,
რაც ომში ძმა დამეკარგა. ვინ იცის, რამდენჯერ დამესიზ-
მრა: მოვა ჩემთან, გამიცინებს, დამელაპარაკება, მაგრამ
დღეს რაღაც უჩვეულო სიზმარი ვნახე, დღეს თითქოს მარ-
თლაც დაბრუნდა ჩემი ძმა.

ერთ სალამოს ჩემმა ძმამ ბადრამ სამუშაოდან რაღაც შეხვეული მოიტანა. ჩვენ, პატარა ბიჭბუჭები, ამ დროს ეზოში ცხენებს—თხილის ჯოხებს—დავაჭენებდით.

— ვინც მოასწრებს, ამ საჩუქარსაც ის მიიღებს!—დაიძახა ბადრამ და შეხვეული გვიჩვენა.

ჩვენ „ბედაურებს“ წკებლა გადავუჭირეთ და მისკენ გავექანდით.

— ერთდროულად მოხვედით, — ხმამაღლა გაიცინა მან და შეხვეული ზემოთ ასწია.

— არა, არა, ყველაზე ადრე მე მოვედი, საჩუქარიც მე მეკუთვნის! — იძახდა ყოველი ჩვენგანი და ცდილობდა შეხვეულს შეწვდომოდა. მაგრამ ბადრამ იგი ფრთხილად მიიკრა მკერდზე და სამზადისკენ გაემართა.

— ოჰ, ჩემი ბიჭი მოვიდა! — სიხარულით ტაში შემოკრა დედამ ბადრას დანახვაზე.

— მერედა, იცი რა მოვიყვანე? აბა ნახე! — ბადრამ შეხვეული ფრთხილად დადო ძირს და გახსნა. შეხვეულში წითური ლეკვი აღმოჩნდა.

— უჰ, რა ლამაზია! ვინ მოგცა? — დედამ ფრთხილად აიყვანა ლეკვი და ნაზად მიიკრა მკერდზე.

— აღმასი, პატარა აღმასი,¹ — ამბობდა ის და ხელს უთათუნებდა გრძელყურა, თვალებდაკუსულ ლეკვს. ბავშვებმა სული გავნაბეთ.

— აღმასი, აღმასი, აღმასი! — იმეორებდა ჩემი ძმა, — რა კარგი სახელია! მთელი დღე თავს ვიმტრევედი და ვერაფერი მოვიფიქრე. ამაზე უკეთესს რას დავარქმევ, — შესცინა ბადრამ დედას, ხელი მოხვია და შემოატრიალა.

— მომეშვი, არ წამაქციო, — უთხრა დედამ, ლეკვს თავზე აკოცა და ძმას გადასცა.

ამ დღიდან მე და ჩემს მეზობელ ბიჭებს კიდევ ერთი გასართობი გაგვიჩნდა. ბიჭები უთენია მორბოდნენ აღმასთან და მისთვის სასუსნავი მოჰქონდათ.

მე კი მათ საღამური პერანგისამარა, აღმასის წინ ფეხმორთხმული ვხვდებოდი.

— შიზგა (ასე მეძახდა ძმა), ლეკვს ხელი არ ახლოთ, ცოდვაა, — გადმომძახებდა ხოლმე ბადრა.

— გეფიცები, ახლოსაც არ ვეკარები, — ვპასუხობდი და აღმასს სწრაფად ვაცილებდი ხელს.

მრცხვენოდა, რომ ვტყუოდი, მაგრამ ხელეები ჩემდა

¹ აღმასი — აფხაზურად ლამაზი.

უნებურად მიიწევდა ალმასისკენ, ყოველთვის იმ მხარეს ეყურებოდი, საიდანაც მისი წაკაფწაკავი ისმოდა. თბილ, ფუმფულა სხეულზე თითებს რომ შევახებდი, გამოუთქმელ სიამოვნებას ვგრძნობდი. ბადრას დაძახილზე შიში მიპყრობდა, არ ვიცოდი კი, რატომ. მას არასდროს აუწევია ჩემთვის ყური, ხუმრობითაც კი არ წაუთაქებია. ხანდახან თუ ვიეშმაკებდი, სახე სწრაფად გაუშკაცრდებოდა. ეს იყო და ეს. მე კი გაშეშებული შევეყურებდი, სანამ სახეზე ღიმილი არ გადაეფინებოდა. გაიღიმებდა თუ არა, კისრისტეხით გავრბოდი მისკენ და გულში ვეკვროდი.

როცა ბადრას ალმასთან საჭმელი მოჰქონდა, ჩვენს ლეკვს უკვე გარს ეხვია მეზობლის ბავშვები, წინ კი ბიჭების მოტანილი ათასგვარი სასუსნავი ეწყო, ჯერ კიდევ თბილი და სურნელოვანი. ალმასი ენის წვერს შეახებდა საჭმელს, შემდეგ თავს გააქიციებდა, კუდს აიპრეხდა და მიდიოდა.

ჩვენ გვწყინდა ალმასის ასეთი უყურადღებობა. უფრო ის გვაბრაზებდა, რომ არ შეგვეძლო შევხებოდით, მით უმეტეს, გვეცემა.

— ამხანაგებო! — გვითხრა ერთხელ ბადრამ (ბადრა ჩვეულებრივ ასე მოგვმართავდა, როცა რაიმე უნდა ეთქვა ჩვენთვის, — უკვე გაიმბეთ, საიდან მოხვდა ალმასი ჩვენს მხარეში. ის ინგლისური ჯიშისაა. ისეთივე ამაყია, როგორც აი, ის მთები, — ძმამ ხელი მიაშვირა ლაყვარდიცის ფონზე ნათლად გამოკვეთილ, მალლა აზიდულ მთებს, — ყველაფერს როდი ჭამს, თანაც სანამ შეგვეჩვენოდეს, მორიდებულადაა, რაც არ უნდა იყოს, სტუმარია. შეგვეჩვევა და მერე უფრთხილდით, კბილები ხერხის ცბი-

ლებივით ბასრი აქვს, ჰამ, და თითებს წაგაცლით. ხელი არ ახლოთ, თუ თითები გენანებათ. მაგრამ როცა გაიზრდება, მაშინ ნახეთ, რა ამბავი დააწიოს: ჩვენს სოფელში, ჩვენს ტყეებში ნადირი ვერ გაიჭაჭანებს, ალმასი ყველას დაიჭერს და აქ მოგვიყვანს.

— ბიბა (პატარაობისას ბადრას ვერ ვამბობდი, ამიტომაც ძმას ბიბას ვეძახდი), ალმასი ჩემოდენა გაიზრდება, თუ უფრო დიდი?

— გინახავთ ჩვენი მეზობლის ხარი ჯარმა?

— როგორ არა! — ერთხმად ვუპასუხეთ ჩვენ.

— ალმასი ჯარმაზე ოდნავ დიდი იქნება.

— უუ, უუ! — გაკვირვებით გადავხედეთ ერთმანეთს.

— ყურები, ბიბა, ყურები რამოდენა ექნება?

— ყურებს ნულარ იკითხავთ. ხედავთ ავერ, რა ჰკი-
ლია?

ჩვენ ერთდროულად შევებრუნეთ თავი. ღობეზე ეკიდა მურა ფერის დიდი დათვის ტყავი.

— აი, ასეთი ყურები ექნება ალმასს. — ჩვენ უზომოდ გაგვიკვირდა.

ზოგი იცინოდა, ზოგმა კიდეც არ იცოდა, რა ეთქვა, ისეთ ზღაპრულ არსებად წარმოედგინა ალმასი.

ერთი სული მქონდა ჩემი ამხანაგების მომჯადოებელი ალმასისათვის ხელი შემეხო, ჩემდა უნებურად მისკენ მივიწვედი. ალმასი კი გაბუსუნებული იწვა. იგი აინუნშიაც არ გვაგებდა, მაგრამ როცა ბადრა გამოჩნდებოდა ჯამით ხელში, თავს ანებებდა ბიჭების მოტანილ სასუსნავს, რომელსაც სხვათა შორის, სამადლოდ შეახებდა ენას და კულის ქიციინით გარბოდა მისკენ, ფეხსაცმელზე ახტებოდა,

წრიალებდა, აკვესებდა შავ თვალებს. შემდეგ კი ფართო, ვარდისფერი ენით მადიანად ლოკავდა ჯვამს.

„ხომ დარწმუნდით, — თითქოს ამბობდნენ ძმის მოღიმარი თვალები, — რომ აღმასისათვის არ არის სულ ერთი, რას აჭმევენ და ვინ აჭმევს. ეს იმიტომ, რომ იგი სულ სხვა ჯიშის ძაღლია.“

მიუხედავად ბადრას ნათქვამისა, მე და მეზობლის ბავშვები არ ვასვენებდით აღმასს. ჭიშკარში გავიდოდა თუ არა, ხელს ჩავავლებდით და აქეთ-იქით დავაპორწიანებდით. დედა გვესაყვილურებოდა:

— არ გრცხვენიათ, რას ტანჯავთ და აფუჭებთ მაგ ლეკვს? მოვა ბადრა და ყველაფერს ვეტყვი!

მაგრამ დედას ყურს არ ვუგდებდით.

— აღმას, აქეთ, აღმას, აჰა, აიღე! — გაისმოდა ირგვლივ.

— შვილო ბადრა! — უთხრა ერთხელ დედამ სამუშაოდან დაბრუნებულ ძმას.

მეგზვდი, რისი თქმაც სურდა დედას და ჩუმად გავიძურწე.

— დატანჯეს შენი ლეკვი. წარამარა აქეთ-იქით დააპორწიანებენ. ხმა ჩამაწყდა ყვირილით.

ამის შემდეგ ბოლო მოელო ჩვენს გართობას. ბადრას სამუშაოზე მიჰყავდა ხოლმე აღმასი.

პირველ დღეებში აღმასს სულ არ ეჭაშნიკებოდა ჩემი ძმის სამსახურში სიარული. მაგრამ შემდეგ ყველაფერს შეეჩვია. ხანდახან ბადრა შუალამემდე რჩებოდა კრებაზე და დილით ადრე ვერ დგებოდა. ასეთ შემთხვევაში აღმასი

უკანა თათებზე შედგებოდა, წინა თათებს და დრუნჩს კარს მიადებდა და წკმუტუნებდა.

გავიდა დრო. სოფლსაბჭოში, სადაც ბადრა მდივნად მუშაობდა, ალმასი თანდათან დაუმეგობრდა ყველას. როგორც კი სოფლსაბჭოს ეზოში აღმოჩნდებოდა, ბადრას ტოვებდა და საბჭოს თანამშრომლებისკენ გარბოდა. ყოველ კაბინეტში იჭყიტებოდა. რაკი დარწმუნდებოდა, ყველა ადგილზეაო, ბადრასთან ბრუნდებოდა, მის სკამქვეშ მოიკალათებდა და თვალებს მილულავდა. ამის შემდეგ აღარავის ედებოდა ფეხებში, თითქოს ეშინოდა, „სამუშაოდან“ არ მომხსნანო, და სულგაკმენდილი იწვა.

ძმის კაბინეტში ხშირად ისმოდა:

— გამარჯობა, ბადრა!

ბადრა თავაზიანად ეპყრობოდა მომსვლელებს, ყოველი თვის გულთბილად ხვდებოდა, ყურადღებით უსმენდა, აძლევდა საჭირო ცნობებს. ყოველი მათგანის შემოსვლაზე ალმასი თვალს ახელდა, ათვალეირებდა მათ და როცა დარწმუნდებოდა, მოსული საშიში არააო, ისევ წასთვლემდა. შესვენებაზე სოფლსაბჭოს თანამშრომლები ქვევით სასადილოში ჩადიოდნენ. სასადილო პირველ სართულზე იყო. ალმასიც მხიარული წკმუტუნით მიხტოდა იქით.

გადაჭკნა გაზაფხულის ყვავილები, ნაყოფით დახუნძლული ხეების ტოტები სულ უფრო იხრებოდა ძირს. კოლმეურნეობის გადახნული მინდვრები მწვანით შეიმოსა, დამშვიდდნენ ბობოქარი მდინარეები. ამ დროს სოფელში

რა სიმღერას არ გაიგონებდით. იყო ერთი მხიარულეზა. მარგლავდნენ სიმინდს, ისმოდა შეტეხილი თამბაქოს ფოთლების შარიშური. ზოგჯერ მეომრული სიმღერაც დაიგუგუნებდა. კოლმეურნეებს, განსაკუთრებით ჩვენ, პატარა ბიჭებს, ის არასდროს გვეშლებოდა სხვა სიმღერებში. მის გაგონებაზე კისრისტეხით გავრბოდით ბოსტნებსა და ბაღებზე, ყურადღებას არ ვაქცევდით ქალების წივილ-კივილს, ლანძღვას და შარაზე გავდიოდით.

კოლმეურნეებიც თავს ანებებდნენ მუშაობას, თოხის გრძელ ტარს ეყრდნობოდნენ და შარას ვაცქეროდნენ. ქალიშვილებს გული უჩქროლდებოდათ. ეს იმიტომ, რომ იქ ჩვენი სოფლის ყმაწვილკაცები მწკრივად მონაწილეობდნენ დარახტულ ცხენებს. ცხენების შუამოსართავეზე ლამაზად ჩანდა წითელი ვარსკვლავები.

იმჟამად ჩვენი ქვეყანა მტრებით იყო გარშემორტყმული. ამიტომ ყოველი შემთხვევისათვის მზად უნდა გყოფილიყავით. ჰოდა, კვირაში ერთი-ორჯერ იარაღასხმული ჭაბუკები სოფლის დიდ მინდორზე — მიდარაღზე — გადიოდნენ სავარჯიშოდ. დღესაც თვალწინ მიდგანან ისინი — ბექვართო და წელწვრილი ახალგაზრდები. ჩემი ძმაც მათ შორის ერია.

ის დღე, როცა მეცადინეობა ტარდებოდა, ჩემთვის ყველაზე დიდი დღესასწაული იყო. ბადრას საჯინიზოდან გამოჰყავდა შავფაფარიანი ლამაზი რაბკა, ზოგჯერ მეც ხელს ჩამავლებდა და უნაგირზე მსვამდა. მიმყავდა ცხენი და მეჩვენებოდა, რომ კავკასიის მთები ჩემს ფერხთით იყო, თეთრი ღრუბლები კი სახეზე მელამუნებოდნენ. ერთი სული მქონდა მეზობლის ბიჭებს შევხმიანებოდი, მაგრამ ვი-

ცოდი, რომ რაპკა აინუნშიც არ მაგდებდა. მეც არ ვენ-
დობოდი მას და ხმას არ ვიღებდი.

რაპკა ვერ შეეგუა ალმასს. მის დანახვაზე თვალებს აკ-
ვესებდა, ნესტოებს ბერავდა, კისერს ხრიდა და წინა
ფლოქტებს მიწას სცემდა. ალმასს კარგად ესმოდა, რომ
რაპკასთან ვერაფერს გახდებოდა და კუდამოძუებული გა-
რბოდა.

— ბიბა, რატომ სძულთ ერთმანეთი რაპკას და ალ-
მასს? — ვკითხე ერთხელ ბადრას.

— ჩემზე ეჭვიანობენ, — მომიგო ძმამ.

მისმა პასუხმა არც ისე გამაკვირვა, რადგან მე თვითონ
მეგონა, რომ ბადრას ჩემზე უფრო ისინი უყვარდა.

რაპკას მიდარადის დანახვაზე უცნაური რამ ემართებო-
და: ყალყზე დგებოდა, ტოკავდა, ნავარდის ჟინი უვლიდა.
ბადრა ამ დროს ძირს ჩამომსვამდა ხოლმე, რაპკა კი წი-
ნანდებურად ცმუკავდა. დაშინებული ალმასი ვერ ბედავ-
და ბადრასთან მიახლოებას, ჩემთან მოდიოდა და საცოდა-
ვად წკმუტუნებდა.

როგორც კი ბადრა უზანგს შეეხებოდა, რაპკა ადგილს
სწყდებოდა. ჩემი ძმა ვარჯიშის დროს გაქანებული ცხე-
ნიდან ხტებოდა და მას გვერდით მისდევდა, ხან თავით იდ-
გა უნაგირზე. შემდეგ მზეზე აბზინებდა ხმლის პირს და
ელვის სისწრაფით სხებდა სარებზე მიმაგრებულ წნე-
ლებს.

ახლაც მიდარადს რომ შევხედავ, მესმის ტაშის გრი-
ალი, რითაც მინდვრად შეკრებილნი სიჩაუქისთვის აჯილ-
დობდნენ ბადრას. თვალწინ მიდგას მიხა, ხინტრივა

და ჩვენი სოფლის სხვა ბიჭები, რომლებმაც ვერ მოასწრეს დაცოლშვილება, ბოლომდე ვერ იგრძნეს სიცოცხლის სიხარული.

ერთ დილას ძმა მოლუშული დაბრუნდა შინ. ალმასი მის უკან მოჩანჩალებდა, მწუხარედ დაეხარა თავი.

— რა დაგემართა, შვილო, ცუდად ხომ არა ხარ? — შეწუხდა დედა და ბადრას შუბლზე დაადო ხელი.

— ომი დაიწყო! — ჩამწყდარი ხმით მიუგო ბადრამ. იგი ჩეროში დათვის ტყავზე წამოწვა. შემდეგ ცალი ხელი იქვე ჩამომყდარი დედის ნაჯაფარ ხელს შეახო. მე და ალმასმა სული გავნაბეთ.

— ნუ გეშინია, დედა, — მხნედ უთხრა ბადრამ დედას. — როცა უგუნური საქონელი ხის უღელს გატეხავს და სხვის ბოსტანში გადავა, უმალ დაადგამენ რკინის უღელს.

სოფელში თანდათან გაქრა მხიარულება. წამდაუწუმ ისმოდა მეომრული სიმღერა. სხვა სიმღერებს ვერ გაიგონებდით. ჩვენი ეზოს გვერდით გამავალ შარაზე ხშირად მოჰყარავდით ყურს ფლოქვების თქართქურს. ჭაბუკები თავიანთი ცხენებით მიემართებოდნენ შესაკრები პუნქტისკენ — მიდარადისკენ.

ამ დღეებში ბადრა და ალმასი თითქმის ალიონზე ბრუნდებოდნენ შინ დამტვერილნი, გატანჯულნი, მშვიდნი. ხან სულ არ მოდიოდნენ — სოფლსაბჭოში ათენებდნენ და აღამებდნენ.

— ჩვენ რომ მძიმე დღეები დაგვიდგა, გასაგებია,

მაგრამ ეს რაღას იტანჯება?.. — ამბობდა ხოლმე ბადრა და ალმასს ცხვირზე ნელა წაჰკრავდა ხელს. ალმასი კი უკანა თათებზე დგებოდა და რაღაცნაირ ბგერებს გამოსცემდა, თითქოს პასუხობდა — უშენოდ ვერ ვძლებო.

დღე დღეს მისდევდა, თვე — თვეს... სოფელი თანდათან დაცარიელდა.

ერთ საღამოს ბადრა ადრე დაბრუნდა შინ. როცა რაიმე მნიშვნელოვანი ამბის თქმას აპირებდა, დედას თავზე ხელს მოჰკიდებდა და აკოცებდა, ასე ქნა დღესაც. დედა გაოცებული შესცქეროდა.

— ახლა დამშვიდებული ვარ, — ყრუდ ჩაილაპარაკა ბადრამ და მაგიდასთან დაჯდა. — ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ ჭკვიანია. საქმესაც მიხედავს და სკოლაშიაც იგლის. — ბადრა ნავთის ლამპას მიშტერებოდა. ისე ლაპარაკობდა, ვერ მიხვდებოდით, ჩვენ გვესაუბრებოდა თუ თავის თავს.

არ ვიცი, გაიგო თუ არა დედამ ბადრას ნათქვამი, მე კი მაშინ ვერაფერს მივხვდი.

— ის სწორედ ახლა მოიქცა მკაცრად, — განაგრძობდა ბადრა, — მაგრამ არა უშავს რა. — ბადრა ადგა და დედას მოეხვია. — როგორც ქუხს, ისე არა წვიმს, ხომ მართალია, დედა?

— კი, შვილო, როგორც ქუხს, ისე არა წვიმს.

დედის ხმას მშფოთვარება ეტყობოდა.

— მაშ, წასასვლელად გამამზადე, თორემ იქ ყველაფერი დამთავრდება, მერე სირცხვილს სად წაუვალ! — ბადრამ ჭადარა საფეთქლებზე აკოცა დედას და ისევ დაჯდა. მე ძმას მოვეხვით და მღელვარედ ვკითხე:

— სად მიდიხარ, ბიბა?

ბადრამ ცალი თვალი მოჭრუტა, სალოკი თითი რამდენ-
ჯერმე მოხარა და დააყოლა:

— ბუჰ, ბუჰ, ბუჰ.

— ვინ უნდა მოკლა, ბიბა?

— მტერი.

— რომელი მტერი?

— შენ რა, არ გინახავს? მტერი ისაა, ვინც სიკვდილის
ღირსია. — ბადრას სიძულვილით სახე დაემანჭა, ტუჩები
მოებრცა.

— ის ხალხს ხოცავს?

— აბა რა, უდანაშაულო ადამიანებს ხოცავს, ამიტომ
უნდა გავანადგუროთ.

— მეც წამოგყვები, ბიბა, — ვუთხარი ცოტა ხნის შემ-
დეგ, თუმცა ხეირიანად არ ვიცოდი, ვინ იყო ეს მტერი და
როგორ უნდა შევბრძოლებოდი.

— არა, აქ უნდა დარჩე, კაცი აქაც არის საჭირო, თა-
ნაც არ დაგავიწყდეს, მალე სკოლაში უნდა წახვიდე.

— აღმასიკ წამოგყვება?

— არა, ჩემს მოსვლამდე შენ გაბარებ.

— რაპკა?

— რაპკას წავიყვან. ახლა კი წავიდეთ და გავიგოთ, წა-
მომყვება თუ არა.

ჩვენ საჯინიბოს მივაშურეთ...

მეორე დღეს ალიონზე მე, დედა და აღმასი ბადრას და
რაპკას მივაცილებდით. ის-ის იყო ცის ტატნობი გავარდის-
ფერდა, მაგრამ ღრუბლები დაიძრა და ირგვლივ ისევ ჩამო-
ბნელდა.

— ალბათ ერთ თვეში დაგბრუნდები, ასე რომ, ჩემს მოსვლამდე ვენახს ხელი არ ახლოთ.

— კარგი, შვილო, შენ გენაცვალოს დედა. ბედნიერებაში მოგხმარებოდეს წლის მოსავალი.

— წელს ვაზს კარგად ასხია. ისეთ ღვინოს დავაყენებ, კაცს წყლის სმა გადაავიწყდეს.

— მართალია, შვილო, კარგად ასხია, ღვინოც კარგი დადგება.

— ჰო, მართლა, კინალამ დამავიწყდა. კაჭიჭს ფული მივეცი. ორი ოცვედროიანი ღვინის კასრი უნდა მომიტანოს. მზეზე არ დადგათ, თორემ გამოსხმება და ძნელი იქნება მათი გაჟღენთვა.

— შვილო, მაგაზე არ იჯავრო... კი მაგრამ, კაჭიჭი რატომ არ მიდის ჯარში?

— ცნობა აქვს, გულით ავადმყოფიაო.

— კიდევ კარგი, თუ გული აქვს.

ბადრამ და დედამ გაიცინეს. დიახ, მათ წინანდებურად გაიცინეს, წინანდებურად ხუმრობდნენ, ოღონდ ერთმანეთს თვალეში არ უყურებდნენ: ბადრამ დასავლეთისკენ იბრუნა პირი, დედა მიწას დასცქეროდა. მე მხოლოდ ახლა მივხვდი, რაოდენ ტანჯვას და ნაღველს მალავდნენ ისინი.

გზაში თანდათან შემოგვიერთდნენ ომში მიმავალნი. მალე ღრუბლები გაიფანტა და მზემაც გამოანათა.

როცა რკინიგზის ვაგზალს მივუახლოვდით, მზე შუბის ტარზე იდგა და ისე აცხუნებდა, თითქოს დედამიწას დაბუგვას უპირებდა.

ორთქლმავლები ელოდნენ მგზავრებს. იღუმალად შებრუნებულიყვნენ დასავლეთისკენ და მძიმედ და ნაღვლია-

ნად ოხრავდნენ. ვინ იცის, რამდენჯერ შეიჭრნენ ბრძოლის ქარცეცხლში და იქიდან მკვნესარე, სისხლით მოსვრილი დაჭრილები გამოიყვანეს.

— თით, ოპოპო! — ისმოდა ომში მიმავალთა სიმღერა.

„ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ხელი მოუმართე და იხსენი ჩვენი შვილები“, — ჩურჩულებდა დედა.

ბადრა ისე ჩქარა მიდიოდა, ძლივს ვეწეოდით.

„ღმერთო, მოხედე უბედურ დედებს. ყოვლად ძლიერო, სიხარულით შეგვიცვალე მწუხარება“, — განაგრძობდა დედა და ბადრას რომ არ დაენახა მისი ცრემლები, უკან გამოჰყვა რაპკას.

— დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ! — გვეძახდა ბადრა. ის ვაგონებისკენ ნიაღვარივით მიმწყდარ ხალხში იდგა და ხელს გვიქნევდა.

ბადრას ფეხდაფეხ მისდევდა აღმასი და წკმუტუნებდა.

— რას გვედება ფეხებში ეს სამგლე! — აღმასზე თქვა ვილაცამ.

— უკეთესი იქნებოდა, ყანაში მწყერი ეძებნა.

— გასწი აქედან, შე დაწყევლილო!

— მოიცათ, მოიცათ, ხელი არ ახლოთ, თორემ ძალიან მაწყენინებთ! აღმას, აღმას! — ალერსით გასძახა ძაღლს ბადრამ.

აღმასმა ბადრას ხმის გაგონებაზე ხმამაღლა წკმუტუნინ და ყეფა ატეხა, შემდეგ ხალხის ჯგროში შევარდა.

— ეი, ყმაწვილო! — გაისმა ჩემ გვერდით ვილაც ჯარისკაცის დახშული ხმა, როგორც კი ვაგზლის შენობას გაფუსწორდით. — თუ შეიძლება, ცხენიდან ჩამოდი, — ჯარისკაცმა რაპკას აღვირში წაავლო ხელი. უცხო კაცის ხე-

ლის შეხებას მიუჩვეველ რაპკას ფაფარი აეძაგრა და ფრუტუნით შეეცადა ჯარისკაცისთვის აღვირი წაერთმია.

— ხელი უშვი! — თავი ვერ შევიკავე და გამწარებულმა დაუწყვირე ჯარისკაცს, მათრახიც კი მოვუქნიე. დედაც მივარდა მას. რაპკამ დაიჭიხინა, თითქოს ამბობდა, ხედავ, წაყვანას მიპირებნო.

— მიეცით, მიეცით, მე და რაპკა კიდევ ვნახავთ ერთმანეთს, — მოისმა ბადრას ხმა.

შემდეგ რა მოხდა, არ მახსოვს. გონს რომ მოვედი, მიწაზე ვიწექი.

— წავიდეთ, შვილო, წავიდეთ! — დედამ მხარზე მომხვია ხელი და მიმავლებს უკან მივყევით.

ჩემს ყურთახმენამდე აღწევდა რაპკას ჭიხვინი და აღმასის საცოდავი წკაცწკავი.

— დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ, — უფრო და უფრო შორიდან ისმოდა ძმის ხმა.

ეშელონმა წაიყვანა ყველა, ვინც ბრძოლის ველზე იყო საჭირო, ატირებული, გულდამძიმებული გამცილებლები კი უკან გაბრუნდნენ.

ვტიროდით ჩვენც: მე და აღმასი.

იმ საღამოს მე და დედა ერთად დავწექით ძმის ლოგინში. აღმასმა საწოლთან მოიკალათა და მწუხარებით სავესე თვალები მილულა.

— ეჰ, მოგიკვდეს დედაშენი, შვილო! — მძიმედ ოხრავდა, წრიალებდა და ვერ იძინებდა დედა.

მეც განვიცდიდი ძმასთან განშორებას.

„ვერაფრის გაკეთება ვერ შევძელი, — ვფიქრობდი და გული ბოლმით მევსებოდა, — ვერ მოვასწარი გადამეკოც-

ნა, წესიერად დავლაპარაკებოდი, ვერ ვკითხე, რა ვაჭამო
აღმასს, როდის დაბრუნდებოდა... რა საწყენია... მხო-
ლოდ ის მახსოვს, რომ შუბლზე მაკოცა, რაღაცას მეუბ-
ნებოდა, მაგრამ მუსიკის გრიალსა და ქალების მოთქმაში
ვერაფერი გავიგონე. უკანასკნელად მხოლოდ მისი ზურგი
შევენიშნე, ბადრა იმ დროს ვაგონში შედიოდა. მერედა, რამ-
დენი ხალხი ჩაყლაპა იმ ვაგონმა. ორთქლმავალმა დაიკიფ-
ლა და ვაგონები დასძრა. რაბკა წინანდებურად ჭიხვინებ-
და, საბრალო რაბკა... თუ მალე არ შეხვდა ბადრას, ნამ-
დვილად გული გაუსკდება..." — ამ ფიქრებში ჩამეძინა და
მაშინვე ლოყაზე რაღაც სველი და გრილი შემეხო. შეშინე-
ბული წამოგვექეი. აღმასი თურმე საწოლზე ამოსულიყო
და ლოყას მილოკავდა.

— შე სამგლევე, სად ამომძვრალხარ, — ვუყვირე და წა-
ვუთაქე. აღმასმა უკმაყოფილოდ დაიწკაფწკავა და ძირს
ჩახტა.

— რატომ სცემ, განა არ გეცოდება? — მომესმა დედ-
ის ხმა.

— მეცოდება, სულ იმას ველოდი, როდის მაკოცებ-
და, — წავიდულუნე და თავი საბანში ჩავრგე.

აღმასმა სამჯერ გამაღვიძა, სახეზე მადებდა სველ,
გრილ ცხვირს. შიშისგან სამჯერ კინაღამ ვიყვირე. ვიღვი-
ძებდი და ლოგინიდან ძირს ჩამხტარი აღმასის წკმუტუნე
მესმოდა, თითქოს მეუბნებოდა — იძინე, შენი დარდი სულ
არა მაქვსო.

— რას მაღვიძებ, შე უსინდისო, — ჩუმად ვლანძღავდი,
დედას რომ არ გაეგონა.

— ეჰ, შვილო ბადრა, ალმასიც კი ვერ ძლებს უშენოდ, — მძიმედ ოხრავდა კედლისკენ პირშექცეული დედა.

დილით გაბმულმა ყმუილმა გამომადგინა. ცხადია, ალმასი მიხვდა, რომ ბადრა ღამით შინ არ დაბრუნებულა. ახლა მარტო იჯდა ცხვრის ტყავზე და ცრემლები სდიოდა. იგი ტიროდა. დედა თავს ევლებოდა, მე ხელს ვუთათუნებდი, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. წყნარი, მომჩივანი წკაგ-წკაგით შემოიარა სახლი, შეიხედა საჯინიბოში, დაყნოსა ეზოს ყოველი კუნჭული და როცა დარწმუნდა, საყვარელი პატრონი შინ არ იყო, პარმალთან წამოსკუბდა, თითქოს ფიქრობდა, რა ექნა. დედამ რძით სავსე მათლაფა დაუდგა, მაგრამ ალმასმა პირი არ დააკარა, წამოხტა და ქუჩაში გავარდა

— ალმას, ალმას! — მივაძახეთ მე და დედამ, მას კი უკან არ მოუხედავს.

— გაედევნე, არ დაიკარგოს! — მესმოდა დედის ხმა. ალმასმა ბორცვი გადაირბინა და მიდარადისკენ მოკურცხლა.

— ალმას, ალმას, დამაცა, გიჩვენებ სეირს, — მივაძახოდი და სულს ძლივს ვითქვამდი. ბოლოს მან ტუნგოს პლანტაცია უკან მოიტოვა და მიდარადზე გავიდა.

ძველებურად ანათებდა მზე, უდარდელი ფრინველნი მხიარულად ჭიკჭიკებდნენ. ჩვენი დიდებული მთები ისევ ისე ამაყად იდგნენ, ამ დილით დანაღვლიანებულნი იყვნენ მხოლოდ ადამიანები. მოსწავლეები მდუმარედ შედიოდნენ სკოლის ეზოში, პირქუშად გამოიყურებოდა სოფლსაბჭოს შენობა.

ალმასი და მე თითქმის ერთად ავიჭერით სოფლსაბჭოს

მეორე სართულზე. აღმასი მაშინვე შევარდა იმ ოთახში, სადაც ჯერ კიდევ გუშინწინ მუშაობდა ბადრა, შემოირბინა იქაურობა და უცებ მწუხარედ აწკმუტუნდა.

— აღმას, შენა ხარ? გამარჯობა, აღმას! — შეეგება პირტიტველა ჭაბუკი. ის ბადრას ნაცვლად დაენიშნათ სოფლსაბჭოს მდივნად. ალბათ იმ ჭაბუკზე ლაპარაკობდა ბადრა ომში წასვლის წინ.

აღმასს ახალი მდივანი აინუნშიაც არ ჩაუგდია. სხვა ოთახებს მიაშურა.

— ოჰ, ამას ვის ვხედავ!

— დილა მშვიდობისა, აღმას!

— ჩვენთან მოდი, აღმას! — ისმოდა აქეთ-იქიდან. აღმასს ყველგან ხალისით ხვდებოდნენ, მაგრამ იგი არავის აქცევდა ყურადღებას.

ბოლოს ისევ ბადრას კაბინეტში დაბრუნდა, დასუნა ყველაფერი, რასაც კი ბადრა გაკარებოდა: საწერი მაგიდა, სეიფი, წიგნების კარადა, მივიდა სკამთან, რომელზეც ახლა ჩემი ძმის შემცვლელი ჭაბუკი იჯდა, შემდეგ ისე შემოგვხედა, თითქოს გვითხრა, ხელი არ მახლოთო, და ძველებურად მოიკალათა სკამქვეშ.

კაბინეტში თავი მოიყარა სოფლსაბჭოს ყველა თანამშრომელმა. მე ვეძახდი აღმასს, ვეხვეწებოდი — წამოდიმეთქი, ყურებზეც კი მოვქაჩე, მაგრამ ვერ დავიყოლიე.

საფოსტო განყოფილების გამგეს დეიდა ლიდას ტირილი აუვარდა, ვერც მე შევიკავე თავი და ავღრიალდი.

— ნუ ტირი, — მითხრა სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ნიკომ და თავზე ხელი გადამისვა. — წადი შინ, აღმასი აქ დარჩეს, ვნახოთ, რას იზამს, სალამოს, თუ საჭირო იქნა,

თვითონ მოგიყვან. ბადრაც მალე დაბრუნდება. დედას უთხარი, ღვინო შემოინახოს, მე მგონი, ახალი მოსავლის მოწვევამდე გავაჩაღებთ ღვინს. წადი, წადი...

ამ დღიდან მოკიდებული აღმასი ყოველ დილით მიდიოდა „სამუშაოზე“. საღამოობით კი ნიკოსთან ერთად ბრუნდებოდა. დედა თბილ საჭმელს უდგამდა წინ. აღმასი აუჩქარებლად ჰამდა, თან გვიყურებდა, თითქოს გვეკითხებოდა — ბადრა ჯერ არ მოსულაო?

ბოლოს ბადრას სამკუთხა ბარათი მივიღეთ. ის ქერჩის მისადგომებიდან გვწერდა: „ძვირფასო დედა, ძმავო შიზგა! ჩავედით დანიშნულ ადგილას. გავიდა ხანი და რაბკას და ხმლის ნაცვლად, რომლითაც მადარადზე წნელებს ვსხებდით, ისეთი იარაღი მომცეს, სიზმრადაც ვერ ნახავთ. იმოდენა ლულა აქვს, შიგ რომ შეძვრეთ, საღამომდე ვერ მოაღწევთ ჩემთან. ამ იარაღს პირდაპირ გულში ვუმიზნებ მტერს. ნუ გეშინიათ, მტერს მალე დავამარცხებთ და გამარჯვებული დავბრუნდებით. შიზგა, ჩემს დაბრუნებამდე აღმასს მოუარე. დედას გაუგონე, შენ ხომ უკვე კაცი ხარ. ჯერჯერობით ნახვამდის. მეჩქარება. შემდეგ უფრო დიდ წერილს გამოგიგზავნით. თქვენი ბადრა“.

ეს წერილი ლიდამ ხმამაღლა წაუკითხა ყველას. შემდეგ მეზობლის ქალმა ზინამ ორჯერ წაგვიკითხა და უკვე გავიზეპარეთ მეც და დედამაც.

ამის შემდეგ ძმის მოკლე წერილის წაკითხვა არავისთვის გვითხოვია. რადგან ზეპირად ვიცოდით, ხშირ-ხშირად ვკითხულობდით. დედა გვერდით მომიჯდებოდა, რა საქმეც არ უნდა ჰქონოდა, მიატოვებდა და სულგანაბული მისმენდა, თითქოს წერილი ახლახან მიგველო.

— შენ შემოგეცლოს დედაშენი, ბადრა, ყოველთვის გამონახავ სახუმარო დროს, — იტყოდა ხოლმე, თავსაფრის ბოლოთი ცრემლებს მოიწმენდა, თავზე მაკოცებდა და თავის საქმეს უბრუნდებოდა.

მხოლოდ აღმასს ვერ მოვასმენინე წერილი. კუდს გაიქნევედა და მიდიოდა, თითქოს ამბობდა, თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს, გული ნუ გამიწყალეო.

— აღმას, აღმას, დაიცადე, ცოტაღა დარჩა, — ვთხოვდი მე.

— დაანებე, შვილო, თავი, მოდი მე წამიკითხე, — მეტყოდა ასეთ დროს დედა.

— გაქრეს მაგისი თავი, — ვბუზღუნებდი და მივდიოდი დედასთან, — იმ ადგილის მოსმენაც არ უნდა, სადაც ბადრა მასზე წერს.

— აღმასი ხომ ძაღლია, შვილო. არ ესმის, რასაც ჩვენ ელაპარაკობთ.

— როგორ არ ესმის. როცა ეტყვი წადიო, მიდის, დაუძახებ და მოდის.

— ძაღლისთვის ესეც საკმარისია, აბა წამიკითხე, რას იწერება ბადრა, გენაცვალოს დედა.

„ძვირფასო დედა, ძმავ შიზგა!“ — ღმერთმა იცის, მერამდენედ ვიმეორებდი.

აი, ასე, ღლეში ასჯერ ვუკითხავდი ძმის ერთადერთ წერილს დედას, აღმასს და მეზობელ ბიჭებს.

ბარათი დაიცრიცა, მაგრამ სამაგიეროდ ყოველი კითხვის დროს ახალ-ახალი ამბებით ივსებოდა. იქ „ეწერა“, რომ ბადრა და რაპკა ერთმანეთს შეხვდნენ, მტერს ერთად ავლებდნენ მუსრს, ბადრას ჩემთვის შენახული ჰქონდა ვე-

ება პისტოლეტი, წითელვარსკვლავიან ქუდს და ქამრის ფართო ბალთას კი მალე გამომიგზავნიდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი „ეწერა“, რისი მოწერაც ბადრამ ვერ მოასწრო და მე მთელი გულით ველოდებოდი.

დღეები სწრაფად ილეოდა, ამ პატარა წერილის გარდა ბადრასაგან არაფერი მიგვიღია. დედას თმა სულ გაუთეთრდა. მე ბადრას ნივთები მისსავე ოთახში შევიტანე, რაპკას საწმინდი ჯაგრისიც კი არ დამვიწყებია, და მთელი დამე მათ ველოლიავებოდი.

აღმასი ძველებურად დადიოდა „სამუშაოზე“. შუადღემდე იწვა თავის საყვარელ ადგილზე — სოფლსაბჭოს მდივნის სკამქვეშ. შესვენების დროს კი სხვებთან ერთად ჩადიოდა სასადილოში.

— აღმას, აღმას! — ეძახდა მზარეული სოფიო და ჯამს უდგამდა წინ.



დადგა ზამთარი. სოფელმა იერი შეიცვალა, უფრო პირქუში გახდა.

ყველანი იმედით ვცოცხლობდით. იმედი გვასულდგმულეზდა, იმედი გვმატებდა შრომის ხალისს. არ ვიცი, რა უნდა გვექნა, იმედი რომ არ გვექონოდა. მუდამ იმედის გზას გავყურებდით, გზას, რომელიც ჩვენი სოფლის გავლით დასავლეთისკენ მიემართებოდა. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო უცარიელდებოდა და უმსუბუქედებოდა ჩანთა ჩვენს ფოსტალიონს. უფრო მეტ და მეტ ხალხს ემალეზოდა სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ნიკო.

— მეტი არ შემიძლია, — ჩამწყდარი ხმით უთხრა ნიკომ ერთხელ სამხედრო კომისარს. — ყოველდღე უბედურების მაუწყებელი წერილი მოდის. ხალხს ვერ ვაძლევ — ყველა შვილებს, ძმებს, ქმრებს ელოდება. თუ გინდათ, თავი არ მოვიკლა, მომავლორეთ აქაურობას. სადმე მეც გამოვდგები. ყველა მოვიყვანე, ვისაც ხელში იარაღის დაჭერა შეეძლო. მეც მათთან ერთად გამგზავნეთ.

— კი მაგრამ, სოფელს ვინ მიხედავს? — ჰკითხა კომისარმა.

— სოფელში ყველაფერი რიგზეა. ჩვენი ახალი მდივანიც ომში წავიდა. მის ნაცვლად ქალაქიდან ჩამოსული ქალიშვილი დავნიშნეთ. ნასწავლია, საქმეს თავს გაართმევს.

— შენს მაგივრად ვინლა იქნება?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი. თუმცა რატომ, ცეცხლივით ქალები გვყავს, დავნიშნოთ რომელიმე.

— არა, ნიკო, იცოდე, აქაც ფრონტია, კაცები აქაც არიან საჭირონი, — მოუჭრა კომისარმა.

მდივნად ქალიშვილის დანიშვნის შემდეგ ალმასს ცუდი დღე დაადგა.

ალმასი როგორც ყოველთვის იმ დილითაც ემზადებოდა სამუშაოზე წასასვლელად, გულმოდგინედ სვლებდა საქმელს. მე გვერდით ვუჯექი და რაბკას ჯაგრისით ბეწვს ვუწმენდდი. ყველაფერს ვაკეთებდი მისი გულის მოსაგებად, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ისე არ ვუყვარდი, როგორც

ბადრა. იმ დილით ოდნავ გამეხახუნა ფეხებზე, გარეთ გავარდა და „სამუშაოზე“ გაეშურა.

თოვდა, მალე ქარიც ამოვარდა და დიდი ფაფუკი ფანტელეები ბზრიალ-ტრიალით ეფინებოდა მიწას.

— ეჰ, გაიყინება საწყალი აღმასი. სულ ჰგონია, სოფლსაბჭოში ბადრა დამხვდებო, — მწუხარედ თქვა დედამ.

როცა აღმასი სოფლსაბჭოში მივიდა, იქ სიჩუმე იდგა. ის კიბესთან გაჩერდა, თოვლი დაიბერტყა. შემდეგ ნაფეხურები დასუნა, ავიდა ზევით, კარს უბიძგა და ბადრას ძველ კაბინეტში შევიდა. კაბინეტში მაგიდასთან ქალიშვილი იჯდა. პირი რკინის ღუმელისკენ შეებრუნებინა. ღუმელში ცეცხლი გუზგუზებდა. აღმასის დანახვაზე ქალიშვილი შეშინდა და ზეზე წამოხტა.

— ოჰ! გული არ გამიხეთქე! გადი გარეთ! — დაუყვირა აღმასს. ძალღი არ განძრეულა.

„ხომ არ შეიშალე? ნეტავ ვინა ხარ, საიდან გაჩნდი აქ?“ — თითქოს ამბობდა აღმასი და ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა ქალიშვილს.

— ერთი ამას დამიხედეთ, არც აპირებს გასვლას. მე შენ გიჩვენებ სეირს, — თქვა ქალიშვილმა და აღმასს სახაზავი დაუქნია.

აღმასმა ბოროტად შეუღრინა.

— მიშველეთ, ცოფიანი ძალღი შემოვარდა კაბინეტში, — გაშმაგებით იკივლა ქალიშვილმა და მეორე ოთახში გავარდა.

— მიშველეთ, აქ ცოფიანი ძალღია! — ისმოდა ქალიშვილის ყვირილი, მაგრამ სოფლსაბჭოს შენობაში მის გარ-

და ასე დილაადრიან არავინ იყო. ქალიშვილმა ყველა ოთახი შემოირბინა, გაიჭრა აივანზე და როცა ვერავინ ნახა, ჯოხი მოძებნა, ფრთხილად გააღო კაბინეტის კარი და შიგ შევიდა. იქ არავინ ჩანდა. მაგრამ გული საგულეს რომ ჰქონოდა, დაიყვირა:

— გამოდი, შენ გეუბნებიან, გამოდი, თორემ თავს გაგიხეთქავ!

ირგვლივ სიჩუმე იდგა. ქალიშვილმა ოთახი მოათვალიერა.

— საიდან გამოტყვრა ის ოხერი, — თქვა მან. როცა დარწმუნდა, ოთახში არავინ არისო, ჯოხი კუთხეში მიაყუდა და სკამზე დაჯდა.

უცებ რაღაც თბილი შეეხო ფეხებზე. გაცეცებულმა ქალიშვილმა შეჰკივლა და ბურთივით შეხტა.

ალმასს გული შეეკუმშა, მთლად მოიკუნტა. უცებ თავში მაგრად დაჰკრეს და საცოდავად დაიწკმუტუნა. კიდევ დაჰკრეს და თვალთ დაუბნელდა, ცხვირიდან სისხლი წასკდა. ბოლოს ძლივს მოიკრიბა ძალა და სკამქვემოდან გამოძვრა.

— ახლავე გაეთრიე, თორემ სულს გაგაცხებიან! — ქალიშვილმა მესამედ დაჰკრა ჯოხი. ალმასმა ველარ მოითმინა, გაბოროტებით დაიდრინა და ოთახიდან გალასლასდა.

აღარ თოვდა, ქარიც ჩადგა. დაფლეთილი თეთრი ღრუბლებიდან მზემ გამოაჭყიტა.

სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ნიკომ მოტოციკლი მოაგრიალა, ბოძთან დააყენა და, თითქოს ზურგზე უზარმაზარი ტვირთი მოუკიდებიაო, თავის კაბინეტში ნელა ავი-

და. დიდხანს იჯდა მაგიდასთან დაფიქრებული, თავი ხელეებზე დაეყრდნო.

უცებ კარი შემოაღო და კაბინეტში ტანის რხევით შემოვიდა მდივანი ქალიშვილი.

— ოჰ, დილა მშვიდობისა, ზამფირა, — მიესალმა ნიკო.

— გაგიმარჯოთ, ნიკოლოზ ბატონო, — მიუგო ქალიშვილმა.

— მი ნიკო მქვია, მამაჩემი, ღმერთმა აცხონოს, სამბალს მეძახდა, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს.

— ნიკო ან სამბალი რა სახელია, ნიკოლოზი უკეთა ჟღერს.

— ახლა იმის დრო არაა, ვარკვიით რომელი სახელი უკეთ ჟღერს. ფოსტალიონი არ მოსულა?

— ჯერჯერობით არავინ გამოჩენილა. აქ ისე დაგგლეჯენ ცოფიანი ძაღლები, კაციშვილი ვერ გაიგებს, — მიუგო ზამფირამ.

— ცოფიანი ძაღლებიო? სად ნახე? ტყეში ხომ არა ვართ, — გაოცდა ნიკო.

— რითაა უკეთესი აქაურობა. იმ ქეციანი ძაღლის გახსენებაზე ტანში მზარავს.

— რომელ ქეციან ძაღლზე მელაპარაკები? — ნიკომ თვალი თვალში გაუყარა ზამფირას.

— ჩვეულებრივ მაწანწალა ძაღლზე.

— როგორი იყო?

— უფრო სანადირო ძაღლს ჰგავდა, წითური იყო. კარგა მაგრად კი ჩავცხე.

— აღმასი! — ნიკო ზეზე წამოხტა.

ზამფირა სახტად დარჩა, ვერ გაეგო, რა მოხდა, თავ-
მჯდომარეს მიაჩერდა.

— წავიდა? — ჰკითხა ნიკომ.

— ჰო...

— რომელ მხარეს?

— აი, იქით, — ზამფირამ ხელით ანიშნა თეთრად გა-
დაპენტელ მინდორზე.

— ალმას, ალმას, მწუ, მწუ! — დაუძახა ნიკომ ალმასს
და აივანზე გავარდა.

მაგრამ ძალღი არსად ჩანდა.

— ალმას, სადა ხარ, ალმას! — ისმოდა ლიდას და სო-
ფიოს ხმა.

იმ დღეს გვიან ვისადილეთ. მე სწრაფად გადავსანსლე
საჭმელი და ძმის ოთახს მივაშურე. უცებ ნიკოს მოტოციკ-
ლის რახრახი გავიგონე, მალე ძახილიც მომესმა.

— მასპინძელო!

მე და დედა სწრაფად გავედით გარეთ.

— გამარჯობათ, — გულთბილად მოგვესალმა ნიკო.

— გაგიმარჯოს, შემოდი, ნიკო, — მიუგო შეჩქვიფე-
ბულმა დედამ.

— არა, არ მცალია. ალმასი არ მოსულა?

— ჯერჯერობით არა. რა მოხდა? — ვკითხე მე. ნიკომ
ყველაფერი გვიამბო, რაც ალმასს ამ დღით გადახდომოდა
თავს. ჩვენ მაინც შემოვიარეთ ეზო, შევიხედეთ ყოველ კუ-
თხე-კუნჭულში, მაგრამ ამაოდ, ალმასი არსად ჩანდა.

— თუ გინდა წამომყევი, ვაჟკაცო, და ალმასი მოვძებ-
ნოთ, — მითხრა ნიკომ.

მე დედას შევხედე. შევატყვე უარზე არ იყო, სწრაფად

დავიხურე ბადრას ნაჩუქარი ყურებიანი ქუდი და მოტო-
ციკლის ეტლში ჩავხტი.

„ეჰ, ჩემი ქალიშვილი იყო, ყურებს აგახეჭდი, მაგრამ
დამაცა...“ — ბურტყუნებდა ნიკო ჭალარა უღვაშებში.
გზაზე ფოსტალიონი გამოჩნდა.

— ჰეი! — დაუძახა ნიკომ.

ფოსტალიონი შეჩერდა.

— ახალია რაიმე? — ჰკითხა ნიკომ.

— ცუდი არაფერია.

— მადლობა ღმერთს, — შვებით ამოისუნთქა ნიკომ.

— ბადრას წერილი ხომ არ არის? — ვკითხე ფოსტა-
ლიონს ყურებამდე გაწითლებულმა.

— კი, აბა როგორ... ხვალ გამოგიგზავნის... — ენა და-
ება ფოსტალიონს.

მე შევნიშნე, როგორ დაენამა თვალები ნიკოს. მან პი-
რი გვერდზე იბრუნა.

— საით მიდიხართ, ეს ვაჟკაცი სად მიგყავს? — უცებ
ჩამომდგარი უხერხული დუმილი დაარღვია ფოსტალიონმა
და თავზე ხელი გადამისვა.

— იცი, ჩვენი ახალი მდივანი და ალმასი ვერ შეეგუენ
ერთმანეთს. ალმასი განაწყენდა და სადღაც გადაიკარგა.
ვერსად ვნახეთ, — მიუგო ნიკომ.

— მოიცა, მოიცა, — ფოსტალიონმა შუა თითით შუბ-
ლი მოიწმინდა. — ღმერთს ვფიცავ, ის ალმასი იყო.

— სად ნახე?

— მგონი წისქვილთან, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი,
რომ ის ალმასი იქნებოდა...

— აბა წისქვილისაკენ! — დაიძახა ნიკომ და მოტო-
ციკლი ადგილს მოსწყეცა.

„აჰ, შე უსინდისო, მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა და-
მალვა... უყურე რა განიზრახა ბრაზიან გულზე? ამის შემ-
დეგ მოდი და ძალღი დაუძახე, დამაცა, დამაცა...“ — იმუ-
ქრებოდა ნიკო.

„აი, ის ადგილი, სადაც პირველად მანდო ბადრამ სა-
დავე. აი, ის მიდამო, სადაც ცხენმა გამიტაცა. აი, ივანი,
რომლის ჩრდილში დასასვენებლად ვსხდებოდით“, — ვამ-
ბობდი გულში ნაცნობი ადგილების დანახვაზე.

წისქვილთან გვითბრეს, წითური ძალღი შარაზე მირ-
ბოდაო.

მიხვეულ-მოხვეულმა გზამ ფართო ზეგანზე გაგვიყვა-
ნა. წინ ლურჯი ზღვა გამოჩნდა.

— აგერ ალმასი! — დაიძახა ნიკომ.

ალმასი მოსახვევთან დავლანდეთ. იქ რომ მივედით, ის
უკვე მოასფალტებულ ფართო მაგისტრალზე გადიოდა.
სწორედ ამ დროს გრიალ-გუგუნი მოგვესმა, მიწა თითქოს
შიშით ტოკავდა. ჩვენ ალმასისკენ გავუჩქარეთ, მაგრამ
უცებ ფოლადის კედელი გადაგვეღობა: გზაზე მიქროდა
თვითმავალი ქვემეხები, ტანკები, ჯავშნიანი მანქანები...

როგორც წვეთი ზღვაში, ალმასიც ისე დაგვეკარგა ამ
მოგრუხუნე მასაში.

ჩვენ მოტოციკლიდან გადმოვხტით და გზის პირას უმ-
წეოდ ვტრიალებდით. გული საგულეს აღარ მქონდა, ნი-
კოც ძალიან ნერვიულობდა.

არ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა გზაზე გრუხუნ-

გრიალი. ბოლოს მაგისტრალი დაცარიელდა, მაგრამ ალ-
მასი ვერსად ვნახეთ. ყოველი კუთხე გაგჩხრიკეთ, მაინც
ვერ გავიგეთ, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. ბევრი ძებნის შემ-
დეგ უკან გამოვბრუნდით გულდაწყვეტილნი.

— ეჰ, საცოდავი ბადრა, — თქვა ბოლოს ნიკომ.

ომი ისევ გრძელდებოდა.

ჩემი ძმისაგან წინანდებურად არაფერი ისმოდა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

სადა ხარ, შვილო!	
თარგმანი ც. ჩხაიძისა	5
მთვარიან ღამეს	
თარგმანი მისივე	14
ღაბრუნება	
თარგმანი მისივე	23
აღმასი	
თარგმანი ნ. ჯოლოსავასი . . .	27

г. 183 / 228